

გიორგისაჲთ ასაჲ – 2014 წელს!



„ღმერთი, სამშობლო მიცოცხლე, მძინარეც ამას ვღუდუნებ!“

კავკასია Kavkasia

პროვნული, ლიტერატურული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი №1-2 (73-74) იანვარი-თებერვალი 2014 წელი ფასი 1 ლარი

დაბადების დღეს – 4 იანვარს ვულოცავთ სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქს, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსს, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტს, უწმიდესსა და უნეტარესს ილია მემორეს. ვუსურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს დედა-საქართველოს და ქართველი ერის საბედნიეროდ... თქვენი ლოცვა-კურთხევა არ მოჰკლებოდეს ქართველ ერს!..




თეთრი ხუნდები

არც ზამთარში, არც ზაფხულში,
მზეო, არ გახუნდები!
რა ღამაზად სრიალებენ
თეთრი მტრედის ხუნდები!
საახალწლოდ გვახარებენ
თოვლის იაგუნდები,
ირგვლივ ნაზად ფარფატებენ
თეთრი მტრედის გუნდები!
თუკი წავალთ, სადაც წავალთ,
მაინც შენთან ვბრუნდებით,
საქართველოს დასაცავად
ფრენენ თეთრი ხუნდები!

P.S.


ეს ლექსი დიდი სიყვარულით აჩუქა სოფელ ფშავლის საბავშვო ბაღის გამგეს – შატი მმტრემკელს და მის აღსაზრდელებს და ბედნიერი ახალი წელი უსურვა თვალსაჩინო პოეტმა და საზოგადო მოღვაწემ, წმინდა გიორგის ოქროს ორდენის მფლობელმა მზინა ხმთაგურმა.



„კავკასიას“ კითხ უღობს მთელი კავკასია.
ჯემალ პასრაძის ფოტო



დაბადების დღეს ვულოცავთ XX-XXI საუკუნეების უდიდეს ნოველისტს, საზოგადო მოღვაწესა და უპეტილზობილეს პიროვნებას, საქართველოს მწვერვალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილეს – რევაზ მიწველაძეს



შატილი

იმედა ლიქოკელი

იმედა ხევსურეთში, სოფელ ქობულოში 1950 წელს დაიბადა. იგი ჯერ ბარისასოს სკოლა-ინტერნატში სწავლობდა, შემდეგ კი მამა - გიორგი ლიქოკელმა ბულაჩაურის რეალური სკოლაში გადაიყვანა...

იმედა ლიქოკელი ხევსურეთში ცნობილი და ყველასთვის საყვარელი კაცის გიორგი ლიქოკელის შვილია. გიორგი ლიქოკელმა დედა უნივერსიტეტი წარჩინებით დაამთავრა...

დღეს იმედა ლიქოკის ხეობის სოფელ კეოს და ქობულოს მკვიდრია, მანამდე ოჯახით ღუშეთის რაიონის სოფელ აშში ცხოვრობდა. მიუხედავად იმისა, რომ იმედას უმაღლესი განათლება არ მიუღია...

ჩვენი რედაქციის სტუმარია სახელგანთქცილი იმედა ლიქოკელი, რომელიც სულსა და გულს აქსოვს ხევსურეთის წარსულსა და აწმყოზე მოგონებებს.

წარსული

დავიწყებ მშობლიური ლიქოკის ხეობით: სანამ ჩვენი გვარი ლიქოკის ხეობაში დასახლებული იყო, მანამდე საქართველოს სხვადასხვა კუთხის ხალხს უცხოვრებიათ...

ვარანგელოზში სისაურები ლოცულობდნენ. ახლაც ასეა, ადგილობრივი გვარის წარმომადგენლები: კინჭარაულები და ანატორის სისაურები ყოველწლიურად დაიარებიან.

აქ ჩვენიან - ჭალისოფელში ეს სამივე ძმა - სისაურები, ამდგარან და მიუტოვებიათ საკუთარი საცხოვრებელი. ერთი ძმა, რომელიც კოჭლი ყოფილა მძებისთვის უთქვამს: ამ სახლს ასე ვერ მივატოვებთო...



ბიძინა დათვიას ძე ქობულთელი, 1915 წ.


წინაპრებს ბაციონებად (ბაცებად) იხსენიებენ. ისინი სისაურებს ძალით გაუყრიათ და ბევრი დაუხოცავთ. რამდენიმე კაცს ჭალის სოფელში იასნარის ხატის დარბაზისთვის თავი შეუფარებიათ...

ლიქოკის ხეობაში მათ გარდა უცხოვრიათ ფიცხელაურებს, რომლებიც ხევში - დღევანდელი მოხვევების რაიონში - სტეფანწმინდაში დასახლდნენ...

კვათიონები და კიკოზაურები შავ ჭირს ამოუწყვეტია. მათ ნასახლარებში კი სისაურებს ციხე აუშენებიათ და თავადაც იქ დასახლებულან. აქედან სამი ძმანი ყოფილან...

სამხარაულებმა განგამი ატეხეს, სხვა სოფლის ხალხს მოუხმეს დახმარებისთვის და ბრძოლაში სისაურები მიშველებიან. უკვე გვიანი ყოფილა. მათ მისვლამდე მტერმა უკვე მოასწრო ამ სოფლის გადაწვა-განადგურება...

ამ ფშაველების დასახლების თაოსანი ყოფილა ალაღი. სისაურებს გადაუწყვეტიათ მათი მოკლა და ფშაველების გაძევება აუშოიდან. წამოსულან, ალაღის სახლთან ჩასაფრებულან...



დასახლდნენ ორნას შთამომავლები. ხახონ-აურების ნაწილი, აჭედან გადმოსხლდნენ. მე-19 საუკუნის ნახევარში სოფელ ქობულოსა და ტინში. დღეისთვის ეს ადგილი დაცარიელებულია და ნასახლარები და სალოცავის ნანგრევებია შემორჩენილა.

აწმყო

ლიქოკის ხეობაში ძველად ათი სოფელი შედიოდა, ახლა სამი სოფელია შემორჩა, რომელშიც ორი-სამი კომლია ცხოვრობს. უგზობისა, დიდთოვლობისა და ზვავსაშიშროების გამო...

ხეობის მთების სახელწოდებები: საქარის წვერი, კარატის მთა, ნახალეს მთა, ლულისა და ლიქოკის თავის ერთიანი მწვერვალი, მაღრანი-სა და აკუშოს მთა - ქუნდისლა. აქვეა კიდევ პატარა მთა, რომელსაც ველკეთილს ეძახიან.

ეს ძველი ნასოფლარები გვხვდება კიშისა და ბალალაურის შუამდებარე ტერიტორიაზე. ამ ადგილს კალთოგორს უწოდებენ. ის ადგილები ტყიანია და შეიმჩნევა უძველესი სამარხები. ხეობა მდიდარია მინერალური წყლებით; ვეპა, ჩანჩქერებით - ქერქელიდოს და ლოპოვანას...

დავით ლიქოკელი

დავითი ჭალის სოფელში დაიბადა. ეს ადგილი ბარისასოდან ცხრა კილომეტრის დაშორებით ლიქოკის ხეობაში მდებარეობს და ცოლ-შვილთან ერთად ზამთარ-ზაფხულს აქ ატარებს. მუდღე დარეგან ბურღუევი არღოტიდან შატლის თემის მიღმავლიდან არის და მრავალშვილიანი ოჯახის წარმომადგენელია.

შშობლები - გიგია და მარია ამჟამად ბარისასოში ცხოვრობენ. მათ მუდმივი ურთიერთობა აქვთ შვილებთან და ერთ-ერთ ვაჟთან - გიორგისთან და მცირეწლოვან შვილიშვილებთან ერთად ცხოვრობენ.

დავითის მუდღე - დარეგანი და მათი შვილები: გიგია, ელისაბედი (ელა), თათია, გია, გაგა უღამაზეს ჭალის სოფელში ცხოვრობენ.

დავით ლიქოკელი რვა წელი ბარისასოს სკოლა-ინტერნატში სწავლობდა, შემდეგ ღუშეთის პროფტექნიკურ სასწავლებელში მშენებლის განხრით. აღნიშნული სასწავლებელი სოფელ მლაშეში მდებარეობდა. მისი დამთავრების შემდეგ 1989-90 წლებში საქართველოში პოლიტიკური არეულობა რომ დაიწყო, 1992 წელს ჯარში მოხალისედ წავიდა.

1992 წლიდან დაწყებული დავითი სად არ იმყოფებოდა სამშვიდობო ჯარის შეყვანამდე ამავე წლის ივლისში, ცხინვალის რეგიონში მშობლიურ სოფელში დაბრუნდა, და ხელი მიჰყო ხევსურულ საოჯახო მუერნობას. როგორც გამოცდილი მონადირე, ამ საქმეს მართლაც...

ჩანჩქერი, კარწაულთას ჩანჩქერი და სხვა. ლიქოკის ხეობაშია ვიწრო ბილიკი, ძნელი გადასასვლელი მთაზე. პორიზონტალურად ამ ადგილს ტარტიკაულის გადასასვლელს უწოდებენ. აქ მთის ბოლოზე კლდეა და მის ქვეშით ქვიშიანი ტერიტორია, სადაც ორი კაცი და ერთი ქალი გადაიხეხა და სამივე ცოცხალი გადარჩა.

ერთი - თამიზ ბუბა (გვარად ვაჩიაური) იყო, მეორე კი გაგა ბერდიას ძე კინჭარაული - სოფელ ჭიუდან. ერთი ხევსური - ბლარათი, ლიქოკისკენ რომ მიდიოდა, წინ შემოპყრია მოსისხლე მტერი - ქისტაური, რომელსაც თოფი გადმოუღია და სანამ ის თოფს ესროდა ბლარათი კლდეზე გადაშტარა და მინც ცოცხალი გადარჩენილა.

სოფელ აჭეში, ძველ ნასოფლარში, სადაც უძველესი ციხის ნანგრევია, ეს ციხე ბატონის ყოფილა. იქვე, ციხის ზემოთ მდებარეობს ღვთისმშობლის ხატი, სადაც თამარისდროინდელი ერთი კოშკია. ეს მკვრივი ხატის, ნაკრ-მალაიო და თამარ მეფეს იქ რომ ჩამოუვლია ხევსური მცხოვრებლებისთვის უბრძანებია: ამ ადგილას კოშკი ააშენეთ და ღვთისმშობელი ილოცეთო, წარმართობას შეეშვით, ქრისტე და მართმადიდებლობა იწამეთო. მას შემდეგ აქაურებს - ლიქოკის მცხოვრებლებს თამარის ბრძანებით, მაღლა, კარატის მთაზე ქრისტიანული ეკლესია აუგიათ და წირვა-ლოცვა შეუსრულებიათ.

როგორც იმედა ლიქოკელი ამბობს, მთელ ხევსურეთში ლიქოკის ხეობა განსაკუთრებული ხატებით, სალოცავებით და სიწმინდეებით გამოირჩევა. მოსახლეობას სწორედ ეს სალოცავები იცავენ...

ვინც თავს იკლავს, დაღუპული სულის დასახსნელად კარატის ჯვარის საწინამძღვრო დროშას მიაბრძანებენ გარდაცვლილის სულის ეშმაკისგან გამოსახსნელად. ეს იმ შემთხვევაშიც ხდება, როცა ადამიანს, ან მდინარე, ან ზვავი, ან ქვა მოხვდება და ასეთი უბედური შემთხვევებისგან მიცვალებულთა სულებს იხსნიან იმ დროში...ეს დროში კი რომელიც მხოლოდ ხევსურეთშია, მთის მობინადრეთათვის დიდი ძალა აქვს.

გვარადღეთ ამაყო და მამაცო მათათა ბინადრო ხევსურეთო, თქვენნი სალოცავები, ჯვარ-ხატი, უფალი და ქრისტე ღმერთი. გამრავლდით და არასდროს მიატოვოთ თქვენი სიწმინდეები, სალოცავები. თქვენი წინაპრები ზომ ბურჯად ედგნენ დედა სამშობლოს, ახლა თქვენ დგანართ საქართველოს ჩრდილოეთის კარიბჭესთან..



ბაბიქაძე ბა-3 ბაჩიხეზა

ბა-2 ბუხინიან

ჩინებულად მისდევდა. 1998 წლიდან ოჯახთან ერთად თბილისში გადავიდა და მცირე ბიზნეს მიჰყო ხელი..

2003 წლიდან ისევ მშობლიურ ლიქოკის ხეობას დაუბრუნდა, დაიწყო ბინის მშენებლობა და როგორც მრავალი შვილის პატრონმა მეუღლესთან ერთად გააგრძელა ცხოვრება.

ლიქოკის ხეობაში სამანქანო გზა აღარ არსებობდა, სალოცავებიც იყო დაზიანებული, მიტოვებული, დანგრეული და მიუხედავად.

დავით ლიქოკელმა სალოცავები აღადგინა. მისივე თაოსნობით, ბარისახოს საგზაო უბნის მეშვეობით, აღდგა სამანქანო გზა. მიტოვებულ და დაცარიელებულ ლიქოკის ხეობაში სიცოცხლე დაბრუნდა.

ამჟამად ოჯახურ საქმიანობაში ჩაფლული დავით ლიქოკელი, ცოლ-შვილთან ერთად ამ


დაცარიელებულ ხეობას პატრონობს, მტერსაც და მოკეთესაც თავისას უზღავს.

დღეს კი, მეც ამ ოჯახის ერთ-ერთი სტუმარი აღმოვჩნდი და ათასი წარსული თავადასაულებს მსმენელი. სადღეისოდ კი, რა გამოუღვევს პრობლემებს და ათასგვარ საოჯახო საქმეს ამ ხეობის შინაურის თუ გარეულის მოგზაურის სტუმართმოყვარე მასპინძელ ოჯახს.

გთავაზობთ დავით ლიქოკელის (ბოროტას) ერთ ლექსს.

ქარაფზე დაკიდებული ფიქრი ნისლივით იშლება, ეს ლექსიც გადაკარგულში არ უნდა გვწერო იქნება. მაგრამ რა გუყო ამ მუხებს აღესიღოს, როგორც ხანჯალი,

ბერდია (ტრისტან) არაბული



ბერდიამ ბარისახოს სკოლა-ინტერნატი დაამთავრა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი.

1987-1990 წლებში ბარისახოს სკოლა-ინტერნატში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად მუშაობდა. 1996 წლამდე ამავე სკოლის დირექტორი გახლდათ. შემდეგ ისევ მასწავლებლად მუშაობდა ამავე სკოლაში. ამჟამად კი შუაფხოს არასრული საშუალო სკოლის პედაგოგია. მისი მეუღლე – ნანული ალუდაური სასაზღვრო პოლიციაში მუშაობს.

ტრისტანის და ნანულის ოჯახი ხევსურულ ტრადიციებს აგრძელებს და ხუთი შვილით ხარობს.

გთავაზობთ ბერდია არაბულის ლექსებს.

უეიოდგომა

ი. იაშვილს

სექტემბერი იწურება ხვალ და ბატონობს შემოდგომის ფერი, ათბული სათბებების იქით ნარის ჩიტი ნარზე წის და მღერის. ნაცრისფერი დასდებია მიწას, ტყე მორტულა ცეცხლისფერი ჩითით და უმღერის შემოდგომის ფერებს ნარზე მჯდარი ნაცრისფერი ჩიტი.

საიდან მოველ არ მახსოვს, რა გზებზე ვილოდიადე, სად ეკალ-ბარდი მკაწრაგდა, გვერდს ვერ გუქცევდი ღიანებს. მუხლებზეც ბეგრჯერ დაგვიცა, ხან დროშაც აგაფრიალე, ბეგრჯერ გიცადე გორის თავს მაინც არ ამამიარე, იქნება შენ ამასწარი, იქნებ მე დაგიფიანე, შენს მოლოდინში დაგბერდი,

სიცოცხლე გაგიტიალე, დროს ეტლის რბოლას ვემდური უკან ვერ დაგატრიალე.

ტირილი საკუთარ თავთან სხვების ბასაბონად

გაი ქარს გატანებულ, ჩემო სიყმე და ჯანო, გაიმე, ვერ აწეულ ჩემო საზიდო ჯვარო. გაიმე, გულში ჩამრჩალო მტერს შერჩენილო ჯაგრი, გაიმე სისხლ დაწრეტილო დამარცხებულო ჯარო. მუდამ ბირთაქვევ ქეროლაგო, აღმა საქროლო ქარო, გაიმე გითომ ერთგულის, ორნაქმარევის ქმარო. სიტყვაგ, საფრენად მზად მყოფო, ბაგეებს ვერ მომწყდარო, სამშობლოგ ძუძუ მოჭრილო, მეფეგ, თრიაქით მთგრალი, მაინც საბრძოლად მზად მყოფო, ბებერო ამორძალი.

ბათირა არაბული

დაამთავრა ბარისახოს სკოლა-ინტერნატი. იმ დროისათვის აქ მოღვაწეობდნენ გიორგი ლიქოკელი, მინა არაბული, ბერდია არაბული, ლევან ჯანაშია, დავით ყარაულაშვილი.

ბათირა არაბული ცხრა წელი აქაური სკოლა-ინტერნატის დირექტორად მუშაობდა. მანამდე 1973 წელს გორის ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი დაამთავრა. მუშაობდა დავითის, გველეთის, გუდანის დაწვებით სკოლებში.

ბატონი ბათირა ამჟამად პენსიონერია და მეუღლესთან ერთად ცხოვრობს ბარისახოში.



„ჯუთა სახლის“ მესაბრუნე

გიგლა არაბული-მა ჯუთის ოთხ-წლიანი სკოლა რომ დაამთავრა, შემდეგ ორჯონიკიძის აკაკი წერეთლის სახელობის მე-19 ქართულ საშუალო სკოლაში გააგრძელა სწავლა. სამი წლის შემდეგ მშობლებმა ბარისახოს სკოლა-ინტერნატში გადაიყვანეს.

თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, რუსთავის №1 სამშენებლო ტრესტში სამუშაოდ ოსტატის თანამდებობაზე გაანაწილეს. იქ გაიარა რამდენიმე უტაპი ამ წოდებიდან კომინატის დირექტორობამდე.

1968 წელს მივლინებით გაიგზავნა არაბეთის რესპუბლიკაში. ჯერ იემენის ინჟინერ-ექსპერტის თანამდებობაზე, შემდეგ სამწლიანი სამივლინებო სამსახური დაამთავრა უფროსი ინჟინრის თანამდებობით.

ეს უბრალო მივლინება არ გახლდათ. ის მოსკოვიდან საკავშირო უწყებების მიერ კონტროლდებოდა. იქიდან დაბრუნების შემდეგ მუშაობა გააგრძელე რუსთავის ხე-ტყის დამამუშავებელი კომინატის დირექტორად, – მითხრა ბატონმა გიგლა არაბულმა.

1972 წელს გიგლა არაბული მეორეჯერ გაიგზავნა საკავშირო უწყებების მიერ აფრიკის ქვეყნებში (გვინეაში) ჯერ უფროსი ექსპერტის თანამდებობაზე, შემდეგ გადაიყვანეს საბჭოთა სპეციალისტების ჯგუფის ხელმძღვანელად იემენში. იქ ცემენტის ქარხანას აშენებდნენ, ხოლო გვინეაში წყალმომარაგების სისტემას, სადაც ოთხი წელი დაჰყო. იქიდან დაბრუნების შემდეგ, სხვადასხვა დროს გახლდათ სამშენებლო სამმართველოს უფროსი, ტრესტის მთავარი მმართველი. იგი ამჟამად კერძო ფირმის შ.პ.ს. „ლომისას“ გენერალური დირექტორია, ასევე ვაზბეის რაიონის სოფელ ჯუთის საოჯახო სასტუმრო „ჯუთა-სახლის“ ამშენებელი და მმართველი.

ბატონი გიგლა მშენებლობაში ჰეგემონია. ამ სახლით აღფრთოვანებულნი არიან ბრიტანელები, ებრაელები თუ სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეები.



სოფელი ჯუთა

– საქართველოს დიპლომატია თავაწეული და მტკიცე გადაწყვეტილებით უნდა ესაუბრებოდეს რუსეთსაც და ამერიკასაც ყოველგვარი მონური ფსიქოლოგიის გარეშე, ჩვენი სტრატეგიული მდგომარეობის გათვალისწინებით, ამბობს ბატონი გიგლა არაბული.

– ძალიან მომწონს სალომე ზურაბიშვილის ქმედება, აზრი და გამოთქმა, ჩამოყალიბებული მსჯელობა საქართველოს სტრატეგიულ მდგომარეობაზე.

ჩვენ ჩვენი ისტორიული ტრადიციები გვაქვს, მრავალსაუკუნოვანი თავისთავადი ქვეყნისა. ქალ-ბატონი სალომე პროფესიონალი დიპლომატია.

– ბატონო გიგლა, როგორ გრძობთ თავს თქვენს მშობლიურ ჯუთაში?

– ეს სახლი ჩემი ძველია. მე უკვე სიცოცხლეში დავიდე ჩემი ძველი. ამ სახლმა შეცვალა ჯუთელების ცნობიერება, ფსიქიკა. აქ დაიწყო ბინების აღმშენებლობა, რეკონსტრუქცია და ეს მახარებს.

ჩვენს ხალხს გაუჩნდა ინტერესი. მობრუნდნენ თავიანთ ნაფუძარზე. აქვე აშენდა პურის საცხობი და მოსახლეობაც სარგებლობს და უზრუნველყოფილია პურით. დღის წესრიგში დგას ჯუთის ხიდის რეკონსტრუქცია. აქვეა მუშათა აბანო, რომლითაც მილიანად მიეღვი სოფელი სარგებლობს.

ტურიზმის მხრივ ჯუთა ოაზისია... ხელისუფლება თუ ოდნავ მაინც ხელს შეაშველებს გზისა და კომუნიკაციების მოწყობაში, არსად არ იქნება ასეთი მასშტაბის სამთო-სათხილამურო ტრასები.

იზა ჯაჭვამი

იღბა ვით დედოფალი

გთავაზობთ თვალსაჩინო ქართველი პოეტის მთავარსა კერესელიძის ლექსებს და მის საღამოზე წაკითხულ ორ წერილს, რომლებიც ადრეულ წლებში მიუძღვნეს გამოჩენილმა მწერლებმა: ნაზი კილასონიამ და შოთა ნიშნაიანიძემ.



მთვარისა კერესელიძე

თვითმყოფალი და თავისთავალი

ამ დღეებში, მაისის ერთ მშვენიერ საღამოს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში – პოეზიის ნამდვილი ზეიმი გაიმართა, მასპინძელი იყო – უნატიფესი ხმის პოეტი – მთვარისა კერესელიძე.

მთვარისა კერესელიძის შემოქმედებას მე დიდი ხანია ვიცნობ და ინტერესით ვადევნებ თვალს. ვიცნობ მთვარისას, როგორც უნიჭიერეს პოეტს. დახვეწილი ფრაზა, პაეროვანი რითმები, ფლერადი რიტმი, სიტყვათა ტრიალი, ღრმა აზროვნება, ფაქიზი სული, ლექსში გამოხატული ამაღლებული გრძნობები, ზეციურობისაკენ სწრაფვა... აი, რა არის მისი ორიგინალობა, აი, რა ხდის საინტერესოს მის პოეზიას. რა დაგიმალოთ და... საღამოც გალაკტიონის მაგონებს ხოლმე. ხანდახან სიტყვის თავისებური წინეებით, ხან კი გრანჯისებურად სევდა ემალება (ეს გამოხატულება გთხოვთ სწორად გამოვთქვა!), მაგრამ მაინც ყველასაგან განსხვავებული, თვითმყოფალი და თავისთავალია... მკვეთრად თავისეულია სიტყვა, ფრაზა, სტრიქონი... ყოველი სიტყვა დამუხტულია პოეზიის დიდი მუხტით, გარანდულია და წნეხშია გატარებული. ასე მგონია საკუთარი ქურა აქვს მას ლექსის გამოსაწართობად, საკმაოდ ორიგინალური, თავისებური, ძლიერი და ჟღერადი...

ერთი სიტყვით, ამ საღამომ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, და არა მარტო ჩემზე, მოელ დარბაზზე. ის თავის კვალს დატოვებს მწერლობაში. მთვარისა კერესელიძემ კი უდავოდ დიდ პოეზიაზე გააკეთა განაცხადი პოეზიის ამ საღამოთი.

ჩემს სინდისთან მართალი ვიქნები თუ პირდაპირ ვიტყვი: უფლისგან რჩეულთ თუ ხელეწიფების ლექსის ასეთი ზეიმის გამართვა. ქუხდა ჭეშმარიტი პოეზია რჩეული კომპოზიტორების მუსიკით აუღერებული... არა ტაშკერა-მეთქი, ვამბობ ჩემს ერთ ლექსში, მაგრამ ეს სხვა ტაში იყო, ამ საღამომ სხვაგვარი ტაშის ძალა განმაცდევინა. იდგა ვით დედოფალი პოეტი ქალი სცენაზე და თავმდაბლად, ღირსეულად ეჭირა თავი. ეს დღე არასოდეს წაიშლება მენსიერებიდან.

... და მე, გულწრფელად გეტყვი: - ლომი ხარ, ლომი, ჩემო სულიერო დაიკო მთვარისა!

შოთა ნიშნაიანიძე
21 მაისი, 1991 წ.

სად ნახავ დღეს ადამიანს

სად ნახავ დღეს ადამიანს, მითხარი ადამიანო, დღეს ყველა ჯურის მახსარა, - ტაკიმახსარობს და ხშიანობს... მაგრამ ალგეთზე დედანი, ლეკვებს ისევე ზრდიანო... „წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო“.

2002წ.

ერთგვარად მტკივა

დიდი ხმაურით, დიდი ზარით დიდი ზავებით, ისე იოლად ვით ვიწყებით, აღარ ვთავადებით. ისე, იოლად ნუ ირწმუნებ, და ნუ გგონია, რომ ყველა ჩიტი ბუღბუღი, ან იადონია.

რალაც შეშულია, რაც შეშულია რაც არ შეშულია, სუყველაფერი ისევე ჩემშია. ერთგვარად მტკივა, - მარჯვენა თუ მარცხენა მკლავი, ერთგვარად მტკივა, მტერს კლავენ თუ მოყვარეს კლავენ!

ერთმანეთს ტყვიას რომ ესვრიან იცინის... რუსი, უკლებლივ ხედება საქართველოს ის ტყვია გულში! დასანანია, როცა ხედავ გერაფერს შეგლი, როდესაც შევილის, - მახვილით გკლავენ,

და დამშვიდდება, დაწყინდება როს ყველაფერი, რა მოაშუშებს ნეტავ ამ ჩვენს მოკვებითელ მკლავებს???

დიდი ხმაურით, დიდი ზარით დიდი ზავებით როგორც ვიწყებით, არასოდეს აღარ ვთავადებით.

2009წ.

სპეტიცსოგლის აღუშენებელი

თუ ერთი იყო მაინც ყოველი, - რატომ ავაგე სვეტი ცხოველი?! ან დღეს დღემდე როგორ მოვედი, თვალეები რისთვის მქონდა სოველი?! ყველა სიკეთეს ამქვეყნიურს ყველა სიკეთეს ამქვეყნიურს რატომ ვიკლებდი, როცა ცხოვრობდნენ სხვები ხრიკებით?

ან ეკლიან გზით რისთვის ვიდოდდი, სისხლით რად გწერდი სიტყვას - „მშვიდობით?!“ ან დაკაწრული ხელისგულებით,

რატომ მეჭირა

რწმენა სრულებით?! თუ დღეს დღემდე ასე მოვედი, დღეს ერთი რატომ არის ყოველი? და თუ ერთია მაინც ყოველი, თვალეები რისთვის დამრჩა სოველი! თუკი პატივით სარგებლობს დიდით, ყველა ორბინო,

მლიქვნელი, ფლიდი ეკლიან გზებზე რისთვის გეწამე, ან რად მინდოდა ეს სიღერწამე? ან ამქვეყნიურს რად ვიკლებდი მუდამ სიკეთეს, ან ზედაზენზე ფეხი რისთვის ამოვიკვეთე?

თუ ერთი იყო მაინც ყოველი, რად მომესაჯა დროში ჩარჩენა! რატომ ავაგე სვეტი ცხოველი - ნუთუ მიტომ, რომ მოეკვეთათ ჩემთვის მარჯვენა?!

იმ მძიმე გზებით მიტომ ვიარე, რომ დაფენოდი შენს ნაიარევს!.. და თუ გატკეპნილ გზებს ვერ ვიტანდი, ეს ბედი იყო, ალბათ, ტიტანის! ...და თუ ერთია მაინც ყოველი, დღეს რატომ ბრწყინავს სვეტი ცხოველი?

და თუნდაც ჰქონდეს ფორმა კვადრატის ხომ აღვადგინე მაინც ბაგრატი! ამინთეთ ჯგარი სვეტიცხოველის ტაძარსა შინა, იქ, სადაც ჩემი მოკვებითი მარჯვენა ბრწყინავს!

განმივრცეთ სული, განმიფინეთ მაღალ ანძებად! და სული იგი, სული ჩემი უკვდავყოფილი, კვლავ განცხადდება ახალ ტაძრებად!

2002წ.

ვის რაში უნდა...

უვიცობისკენ თუ დაქანდა დაღმართზე ვერი, შენ რას უშველი ამ ლექსების კითხვით და წერით?! რაც გინდა წერე, წამკითხველი თუ არ გყავს, მერე, - რაც გინდა წერე! რაც გინდა წერე!

ელვარე ხელეებს, ვინ შეუშვერს ლითონის ლაგას, ვინ შეაჩერებს გაფრენილ მერნებს! ცხოვრება მაინც თავის გზით წავა!

მერე და მერე... ან რას დაიწერ გულის ფიცარზე ვის რაში უნდა შენი სიცხოველე. ამ ჩვენს ნაჯაფარ გრძნულ მიწაზე, - ქართველის ნაცვლად სხვა თუ იცხოვრებს?!

2012წ.

სისხლს მე დავიდენ გულიდან ოღონდაც შენ არ გდიოდეს, თუ გულის ტკივილი არი

პოეტი-ლირიკოსი

მთვარისა კერესელიძის ლექსები ყურადღებას იპყრობს თავისი ლირიზმით, უშუალოდ. მთვარისა ჩემი მეგობარია და მე მაქვს საშუალება ხელნაწერში გავეცნო მის ახალ, ჯერ დაუსტამბავ ლექსებს და შევიგრძნო მათი სურნელი. ის რამდენიმე პოეტური კრებული, რომელიც გამოსცა „მერანმა“ არ მოიცავს მთვარისა კერესელიძის პოეზიას სრულად. ის მხოლოდ ნაწილია მისი შემოქმედებისა, რედაქტორების და გამომცემლების მიერ შერჩევით დასტამბული. შემოქმედება კი მთლიანი, ერთიანი, სულ სხვა სურათს იძლევა. როდესაც მთვარისას ლექსების სრული კრებული გამოვა, მაშინ ჩვენს წინაშე წარმოსდგება პოეტი - ლირიკოსი, ამაღლებული ქალური გრძნობების, ფაქიზი სულის, ძლიერი პოეტური აზროვნების შემოქმედი. ეს იქნება სრულყოფილებით მოსილი პოეზია მთვარისა კერესელიძისა.

ნეტავი მაღე დადგეს ეს დრო.

ნაზი კილასონია.
1974 წ.

გული ისევე მე მტკიოდეს... პირიმზე ხანძარს ვინთებდეს, - ტყეში ხონობი ყიოდეს!... დმერთმა ნუ ქნას რომ შენს ზვრებში

მგელი და ტურა კიოდეს!

2013 წ.

არც მწყემსი, არცა ნაიბი

არც მწყემსი, არცა ნაიბი, უცხო ბურუსი, ბინდია, ადე, მგლის მუხლი მაიბი, გაგვიძენ ბერო მინდიაგ! სად იყავ, სად არ ვიარე, ვეძებდი დედა-შვილობას, ვინ მომიშუშებს იარებს, გულზე რომ მაზის ჭრილობა! ადე მგლის მუხლი მაიბი, გაგვიძენ ბერო მინდიაგ! ადე, მგლის მუხლი მაიბი, თორთ ქვეყანას ჰყიდიან!

2012წ.

ჩემს გზაზე ნისლეების ფარდები დაეშენენ...

ჩემს გზაზე ნისლეების ფარდები დაეშენენ, ჩემს გზაზე წვიმების დაიწყო თარეში...

ჩემს გზაზე... ჩემს გზაზე... შორეულ მხარეში მივდივარ გლოვის და ყვავილთა ვარეშე... ქარების ქროლვას და ქარების თარეში მე წავალ უცნაურ და უცხო მხარეში! მე წავალ, მყარია ვიცი ეს ნაბიჯი, მე გარდავიცვლები ბალახად, არა ხედ,

მე წავალ... მე წავალ... მე წავალ და ... ვიცი არ მოხვალ რადგანაც შენ უკვე დამმარხე!

... ჩემს გზაზე ნისლეების ფარდები დაეშენენ!

გორა ხარანაული

უმჯობესდა უოთა ნიშნისანიძისთან

იყო მეოცის 81. ვიყავ თვრამეტის ვგლეჯდი ავშარებს. წამოიძარო ბაჯალლო მკერდით და მივხვდი დღემდე რად ვერ წაგვშალეს!!! როგორც მთაკაცია, როგორც ზღვა კაცი, მშერდი და სიტყვის თქმა არ მადროგე, „მთხოვე რაც გინდა!“ როგორც ზღაპრებში სწვევით ხოლმე კეთილ ჯადოქრებს!!! ...წყვდიადს გუყვფ და ნათელს გუგალობ, ვკვდები და ჩემს თავს ვსტირი თავადვე. და მე მართოსულს, და მე უგვაროს, მომეხვამე და გამათამამე!!! წამოვვად ფიქრით,

მოყმეზე, გეფხზე, სიცოცხლე მექცა მკირფას სამიწნედ, მტრული სამყარო მეკიდა ფეხზე, — მე შეგხვდი უოთა ნიშნისანიძეს! უხემოესით ხარ ცვარნამული, შენ ხარს აღნიშნულს ნიშნით ღვთოურით, კითხვას გიბედავს ხარანაული, „რას ნიშნავს ყოფა ამქვეყნიურია!!!!“

მაშასადამე

მე ვაკვირდები ადამიანებს, მაშასადამე ღმერთს ვაკვირდები! და ამ სიცოცხლეკვლაპტრიანებს სულში ეწრდებათ რწმენის კვირტები! ცხრა მთავრეხილი გადავიარე, ცხრა ქარაშოტი გულის დამწვრელი. მე გუბრაწდები ადამიანებს, — ადამიანში მხეცს გუბრაწდები! თვალებს გუნოქებს ბადაგიანებს, გაწვდენილი მაქვს მწისკენ ხელები. მე გეფერები ადამიანებს, მაშასადამე ღმერთს გეფერები!!!

ლექი

ვისთვის რა არის ლექი არ ვიცი... ვისთვის გართობა არის მახათით... ვისთვის შეგებაა, ვისთვის ხალისი... (უფალიმც იყოს შემწე მაგათი) მეც, ან, საიდან უნდა გიცოდეთ, „ქვეს“ „ზე“ კვირტივით რად აქვს მისკენილი, უნდა გიცოდეთ მაშინ სიცოცხლე... უნდა გიცოდეთ მაშინ სიკვდილი... დრონი მტანჯავენ შუალმისანი, იქნებ ოდესმე ნისლიც განიბნეს, გულს რომ გაივლის ლექი ის არი, და უამრავი ეკლით გაირბენ!!!!!!

ამერიკა

როგორ მივიღო ლენცოფა ვაწად, ვით წავწვდე ლუქმას ცოდვილს და არამს! დანაბრები ხად არის ვაჟავ, რად არ მოადგენს სამასნი არავგს?! ნეტავი შოთავ! არ იწვის ცა რად, გამწრდელს ვაწრდილი რატომ არ ინდობს! რატომ დაგირწა მამული ცალად, რად დაავიწყდათ „არაბს“ და „ინდოს“?! ხად არის ლადოვ,



რომ მოჰგავს ხვითოს, ნატვრისთვლიანი რად ვქექავ ნავავს, დაუფენია ლაშ-ხახა პითონს, ჯერ არ ვაგუდულს, ჩემს მამულს ყლაპავს. მისავ! მის გულო, ნულარ მეძახი! გერ ვაგვგდი შენი წყლულების მკვრელი, წევს ამერიკა შლეგი მეძავი, ჩემი ლამაზი სამშობლოს მკვლელი.

ნოდარ არლოტილი



სიმდიდრეს აუარებსა; ნუ გააცინებ მტერ-დუშმანს, გინც შენზე ხმალი ალესა. ღვთისმშობლის წილხვედრ მხარისას ნუ გაიყოლებ ვალებსა, ნუ ააშენებ წინაპრის სამარეს და საძვალესა! თორემ გიყვლებს სიკვდილი, ამოგიკორტნის თვალებსა, უსამშობლოდ შთენილსა არავინ შეგებრალესა... შვლასა გვედრის სამშობლო მრგალთა ჭირთა მნახველი. ჯვარამც გწერია, ქართველო, იდიდოს შენი სახელი!

უმჯობესდა არღუნის პირას

მორცხვობდა ქისტის ასული ირმის ნუკრით მფრთხალით, წელწვრილასა და თმაქერას ყელს უმშვენივდა ლალით, ცასავით თვალებს ემჩნია ჩავლილი ტრფობის კვალით; რაღაც ციური ცეცხლისა ბაკმად ევლია ალით... — რა გქვია? გკითხე ზაჰიდათ, ტერელოელი ქალით!

ველრობა

სამშობლოს ნუ მიატოვებ, ნუ გამოუჯრი კარებსა, ნუ მოიძულე ჯვარ-ხატთა სიწმინდე-სიანკარესა. ო, ბედის მაძიებელი, ნუ წახვალ უცხო მხარესა, სხვის მნათობებზე ნუ გაცვლი თავის მწესა და მთვარესა! ოქრო-ვერცხლს ნუ დახარბდები,

შებრუნდა, ხახტად გამწირა ეშხის ბადავით მთვრალით, რხევით მიმაგალ ქალთამწეს თან გაჰყვა ქვეყნის თვალთ; წარბ-წამწამს ეფერებოდა, დაღალს უწნავდა ქარიო... გონთ რომ მოვვდი, მდიოდა თვალთავან ცრემლის ღვარიო, გულის კოვზს მერჭო ისარი, მკერდს მანჩდა ნაოპარიო... ჰაი, დედასა! აღომხდა, ხეობას ვაჰყვა ზარიო.

ძილ-ღვიძილი

ფერად სიწმრებში იშვებ, სული-ფრთა, გული-კვნესა, პაწია ხელებს მიშვერ, გულში სიყვარულს თესავ. გაოცებული მიმწერ, ძილ-ღვიძილს ვეღარ სძლიე? შენ რომ შენატრი, ის მწე მოგაფენს სხივებს იებს. სიწმრის ლაჟვარდში ლაღობ სულისდგმით, გულის ძგერით. შენ შემოგხარის, ბაღლო, მთელი ერი და ბერი. შენს ოცნებებში ფრთხილობ, ალბათ მასკარადს მართავ... დაე, გფარავდეს, შვილო, უფლის უბე და კალთა!

ზმოსასოფლისკენ

ეკა ფავლენიძვილს გძინავს და სიწმრად კრთები, ფშვინავ ბავშვივით ამოდ, თითქოს შეგსხშია ფრთები, ზეცად გაფრენას ლამობ. ტრფობას კრუხივით კენკავ, სიამის ცრემლით მალტობ... ჩემო ძვრფასო ეკა, ჩემო სამწყოს ხატო! ვინ დაგოფერფლა ფრთები, ხაცე და სალაჟვარდე? მიწით როგორღა თბები, თუ მკერდს დარდები გადევს?! მე შეიძლება გავქრე, როგორც სანთელი ცვილის, გადაგყვე ქარს და ნამქერს, შენ კი ამ გზებზე ივლი. შეხვდები მწეს და მთვარეს, ფანტელთა ცვენას ციდან... მეტყვი: „გერ მოვალ მალე, სიცოცხლე კიდევ მინდა! მინდა გყვოდეთ ვარდად, ან ცრემლის ცვარად მგონის. მოვალ, რომ გავა ვადა, ჟამი რომ მოვა მოსვლის!“ შეუნდეთ ეულ მგოსანს, მის უმიქდო ლოდინს, ის ვერ შეძლებს მოსვლას, გულ-მკერდზე ადევს ლოდი. მას სურდა უცხო მხარე, ხად ცის ციავი არის... თუმც დაუბნელდა მწვარე და დაუდუმდა ქნარი.

წუხელოც...

„ჩახხელოც ზიქი ჯამაჯამაჯ...“ ანზორ აბულოძვილი ერთი ქართველი ვაჟკაცი დაბადებულა წუხელაც... მთვარეს ჩაუსვამს კალთაში, მწემ, თურმე ნანა უმღერა... მოჯარებულან ჭახჭახით

ვარსკვლავნი, შუქურ-შუქურნი... წყალმა წყალს ამცნო, ქარმა-ხეს, ღამეც განიმქრა უკუნი. ნათლია! აბა, ნათლია! — ჩქარა, ლამაზი სახელი! მაგრამ, სახელში რა ყრია? ვითომ რას მოგვცემს სახელი?

წამოდვა პაპა აბრია, ჩამოივარცხნა თმა-წვერი, — განა ცოტანი გვინახავს ხალხთან პირშერცხვნილები დავითი... ვაჟა... ვახტანგი... ტარიელ-ავთანდილები? აბა, რა ძალუძთ სახელებს? სახელებისგან რას ელით?

სახელს ვაჟკაცი ამშვენიებს, ლაჩარს ვერ შეცვლის სახელი! თქვენ კაცად კაცი თქვით, თორემ ეძახონ, თუნდაც... სესია! ოღონდაც ისე იცხოვროს, როგორც ვაჟკაცის წესია!



ანამარია ბასილიას ვულოცავთ დაბადების დღეს. ბედნიერი და სასახლო გოგო გაიზარდოს! ბებო და ბაბუ.

სადღებრივი

ეს გაუმარჯოს, საგარეჯოს მადლიან მიწას, მთის კოჭბაანში, კაფიას და ხალხურ რითმას. გორგასლის ქალაქს, უჯარმაში მარადს და წმინდას, ინანიშვილის წყალ-ჭაღის ხმას, პატარძელის იუბის ცვარ-ნამს და ნინოწმინდის ჯვარს. ჩემს საგარეჯოს, თვალის თვალს, გიორგიწმინდის მთას, თონღიაურის ლამაზ ცას, მანავის ნაგის ღვგენდას, იქ გამგებულ ზვარს. და ნიახურას გარშემო იმ ჩაიღურის წყალს, კაკაბეთლების მინდვრებში, ყაყაჩოს წითელ რკალს, დავით-გარეჯში, ატეხილ მადლიან, ქარის ქარს. ქალს, გაუმარჯოს, ღვგენდას, ერისკაცსა და ბერს. იმ ქართველს, საქართველოში, ვინც, გადაარჩენს ერს.

ნათელა დიდგელაშვილი. საგარეჯო

ახალგაზრდა პატრიოტი



ი რ ა კ ლ ი ბ შ რ ჯ ა ნ ა შ მ ლ ი რ ს ე უ ლ ი დ ე დ ს - ი ა ბ ა რ ბ ა ქ ი შ ი ს ვ ა უ ი შ ვ ი ლ - ი ა . ე ს დ ე დ ი ს ე უ რ ა ვ ა უ კ ა ც ი მ ო ლ ვ ა ე რ ბ ს სა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ძ ი რ - ძ ვ ე ლ და მ ო ნ ა პ ი რ ე კ უ თ ე ზ ე მ ი ა ხ ა ლ ქ ა ლ ა ქ - შ ი . ი გ ი და უ ფ ი ქ ი რ ე -

ბლად წავიდა სამუშაოდ აღნიშნულ რეგიონში და ღირსეულადაც ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას, როგორც ქართველების, ისე სომეხი ეროვნების მოქალაქეებისათვის. ირაკლის დიდ ბატონს სცემს იქაური საზოგადოება, რადგან იგი ღირსეულად ემსახურება ნებისმიერ ადამიანს და იცავს იქაურ საზღვარს. კარგად ფლობს სომხურ ენასაც. ირაკლი ბურჯანაძე დასალოჯანებელია. ოცდარვა წლის ახალგაზრდა ღონეს არ იშურებს ჯავახეთის მისახლეობის კეთილდღეობისთვის. ახალ, 2014 წელს ვულოცავთ ღირსეულ მამულიშვილს და მოღვაწეს ბატონ ირაკლის, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერ მომავლს და დიდ კარიერას.

ჯავახეთის მოსახლეობა.

მ ი ლ ო ც ვ ა

ვულოცავთ დაბადების დღეს:

თვალსაჩინო მწერალს, ნოველისტს - გულო კობიაშვილს;

*

თვალსაჩინო პოეტს - ირმა მებურიშვილს;

*

ფილოლოგს, მთარგმნელს და საზოგადო მოღვაწეს, ეროვნული მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენელს - ციური ქიტოშვილს;

*

უნიჭიერეს ფილოლოგს, სახელოვანი ოჯახის შვილს - იზა ბარამიძეს.

*

თბილისის 147-ე სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის ღვაწლმოსილ პედაგოგს - ნანა ინჰვირიძეს.

*

ყურნალისტსა და საზოგადო მოღვაწეს - ლეილა არჩვაშვილს.

*

სახელოვანი ვაჟკაცის, ხევსურეთში დაღუპული პოეტისა და ყურნალისტის - ზურაბ ჯაფარიძის ვაჟიშვილს - ზურაბ ჯაფარიძეს.

*

შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის კურსდამთავრებულს და ულამაზეს ქალბატონს - ხათუნა აზრუშვილ-ჯაჭვამს.

დედაო ღვთისა!

დედაო ღვთისა, მარია! წმინდა, რა გვეპართება, ნეტავ რა გვინდა?! ეს კურთხეული ქართველთა მხარე ვერ დაგაღაგეთ, ვერ გაგახარეთ. რაც კი გაგვანდა გაგაპარტახეთ, ქვეყანა ბაზრად გადაგაქციეთ. მკვეთრად დამიძიდა გარემოება, გაუსაძლისი გახდა ცხოვრება. ვერ მოგვრათ უმუშევრობას, ვერც გაჭირვებას, უსამართლობას; ზოგი კოტრდება, კარგავს ქონებას. ზოგიც ეწვევა მონურ ცხოვრებას, მაგანი ეძებს სარჩოს ქალაქში, ბევრიც შეგოდრდება სხვა ქვეყანაში. საელჩოებთან არ წყდება რიგი მართან ცალმხრივი გაკაბით ხიდი შენი შვილები გარბიან გარეთ, ალბათ, იქ მეტი ვიქნებით მადლი... გულ უბოგეთ ძმებმა საერთო ენა, ამას შევწირეთ ჩვენი ქვეყანა. მომრავლდა ღვარძლი, ქიშხობა, შუღლი, ერთურთს ვერ ვგუობთ, გაქვავდა გული. იმატა სევდამ, ჩაკვდა ღიმილი, გულის სიღრმიდან ისმის კივილი; შეცდომებს ვუშვებთ ყოველ ნაბიჯზე, რასაც ვერ ვუვლით, გამოგვაგლიჯეს. რას დაგამგავსეთ შენი წილხვედრი მოგვაჭრეს ერთი, მეორე გვერდი... სად არს სოსუმი, ცხინვალი, ვაგრა, ღმერთო გვიშველე, მამულებს ვკარგავთ! გუშინ ტაშირი, ლორე, ჰერეთი, დღეს შიდა ქართლი და აფხაზეთია. საზღვრებს ვერ ვიცავთ, უღელტეხილებს, მათუღელსართებით გვაჭრიან მიწებს, გვართმევენ გარეჯს, დაგითის ლავრას, ჩვენს წმინდანებთან გვიმლიან გასვლას.


დუშმანს მივეცი ზღვა, მთა და მდელი, იქნებ წავშალოთ ხელ საქართველო... ძმანო, ქართველნო, რას იქნით, შეხერდით! სამშობლოს ვლუბავთ, ნუთუ ვერ სვდებით?! უფსკრულის პირას დაგფიქრეთ ყველა, ღმერთის შეწევნით მიგვანთ შეგვლას! დედაო ღვთისა, მარია! წმინდა, შენი ღვთიური კურთხევა გვინდა! რომ ყველამ ერთად გავტყუოთ ნაგის, დღეს გადარჩენის მოგვეცი შანსი; გადაგვაფარე ამერ-იმერთა მადლით აღსაგვ ეგ შენი კალთა, როგორც დედამ შვილს, გავგვიმლოცე; სამშობლო ქართველს არ აქვს მეორე აქ გვაქვს უფლება საღათის ძილის მხოლოდ ჩვენ ვირჩენთ საკუთარ ტყვიებს; გვახსოვდეს, რა არს მარადიული: სარწმუნოება, ენა, მამული! კვლავაც გავხდებით ძლიერნი, მხნენი, თუ გავხსენებთ ვისი გვაქვს გენი, არ გულაღატოთ ანდრიას, სიმონს, ჩვენს დიდ წინაპრებს, თვით წმინდა ნინოს! უნდა ვიბრძოლოთ, როგორც გვჩვენებია, მამულს მიგხედოთ იგი ჩვენია! ერმა და ბერმა ჩაგვიძლიოთ ხელი, არს რამე ჩვენთვის დამძღველი?! საქმენი გველის მძიმე და რთული, გამოგაჩინოთ მეტროლი სული; დაგვიკაპიწოთ ხელები დღესვე, დრო აღარ ითმენს, მივხედოთ ფესვებს. და რომ გავიტანთ მტრის კარში ღელის, აგაღორძინებთ ჩვენს საქართველოს! დედაო ღვთისა, მარია! წმინდა, მძლავრი, მთლიანი სამშობლო გვინდა!

თინათინა ფურცხვანიძე 2013წ.

ბასსენება

ჩვენო მურთაზ! პირველად ვხვდებით შენს დაბადების დღეს, 21 იანვარს, უშენოდ. რა უცებ გაიბრძნა ამ ერთმა წელმა, რომელიც 4 მარტს სრულდება. როგორი მძიმე იყო ეს დრო შენი შვილებისათვის (მინდია, დათო, გიორგი), შენი მეგობრებისათვის. არასდროს გახუნდება შენი სახელი, შენ იცოცხლებ შენი პოეზიით და სამსახიბო ხელნაწილებით. ძალიან მოაკლდი შენს მშობლიურ ვერონას - გომბორს, რომელსაც შენი ნაფეხურები დღესაც ამჩნევია. არასოდეს დაგივიწყებთ, ჩვენს გულში დაიდებ სამარადეჟამო ბინას. მარად სასუფეველში გამყოფოს უფაღამ.

გიგლა ჭინჭარაული, ვახტანგ ჭინჭარაული



დამფუძნებელი, გამომცემელი და მთავარი რედაქტორი იზა ჯაჭვამი

რედაქტორი ლაშა-გიორგი პრავიშვილი

სარედაქციო კოლეგია: დიანა გიგაძე, ივანე წიკლაური, ჯუმბერ გოგრიძიანი, რეზო კობიაშვილი, გიორგი იჩუაძე, ნუგზარ ილიძე, ლევან ცალუღლაშვილი, მარინე თეთიუმანიძე, ნატა ბორჩაშვილი, ლეილა არჩვაშვილი, გულო კობიაშვილი, გოჩა ხარაბაული, შოთა ხეთაგური, ომარ მარუქაშვილი.

მისამართი: კოსტავას ქ.№14 ტელ: 2-52-16-38 599-79-76-13 დაკავშირება კობა ბედოიძის დაწესებულებაში www.bedoidze.site.ge